სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის ფორმირების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებათა შესახებ

სხდომის ოქმი N 1

სამტრედია **30 მაისი 2025 წ.**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის და ბიუჯეტის პროექტის ფორმირების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებათა შესახებ შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომა ჩატარდა 2025 წლის 30 მაისს მერიის ადმინისტრაციულ შენობაში, მისამართი სამტრედია რესპუბლიკის ქუჩა N6.

სამუშაო ჯგუფის სხდომა მოწვეული იქნა 2026-2029 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 28 თებერვლის N№62.62250596 ბრძანების შესაბამისად,აღნიშნული ბრძანების შესაბამისად სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს მუნიციპალიტეტის მერი დავით ბახტაძე.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრას ესწრებოდნენ:

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი დავით ბახტაძე.

სამუშაო ჯგუფის წევრები: მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები- მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში, მერიის სპეციალისტი გენდერულ საკითხებში და მუნიციპალიტეტს დაქვემდებარებული ა(ა)იპ-ებისა და შპს-ეების ხელმძღვანელები.

დღის წესრიგი:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დადგენა, რომელიც შედგენილი იქნა მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი გეგმის დოკუმენტის, მერიის სტრუქტურული ერთეულების და საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან (ააიპ-ებისა და შპს-ეები) წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე.

განხილვა:

სამუშაო ჯგუფმა მოისმინა მუნიციპალიტეტის მერის მოხსენება დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით.

მერმა შეხვედრაზე დეტალურად განიხილა მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები. ისაუბრა არსებულ საჭიროებებზე, მიმდინარე და განსახორციელებელ პროექტებზე.

გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა და განისაზღვრა პრიორიტეტები, რომლებიც გათვალისწინებული იქნება მომავალი 4 წლის პრიორიტეტების დოკუმენტსა და საშუალოვადიან სამოქმედო გეგმის და წლის ბიუჯეტის შედგენის პროცესში.

ინფრასტრუქტურის განვითარება; კერძოდ: საგზაო ინფრასტრუქტურული განვითარება, ხიდებისა და ბოგირების მშენებლობა, წყლის სისტემების ექსპლოატაცია მოვლა-შენახვა, გარე განათების მოწყობა, მოვლა-შენახვა;

დასუფთავება და გარემოს დაცვა;

განათლება; კერძოდ: საბავშვო ბაღების გაერთიანების სუბსიდირება,საჯარო სკოლების ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები,წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება.

აზრი გამოთქვეს: მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა, სამსახურის უფროსებმა, საფინანსო სამსახურის თანამშრომლებმა და დამსწრე პირებმა.

გამომსვლელებმა იმსჯელეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების მნიშვნელობებთან დაკავშირებით.

სამუშაო ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილება:

ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით ძირითადი პრიორიტეტები, პროგრამები და ქვეპოგრამები დარჩა უცვლელი.